ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№60

ქ. თბილისი; 3 აპრილი, 2020 წ. 12 : 00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
თინათინ ნიბლოშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე
ავთანდილ ცინცაძე
ქეთევან მამულაშვილი
ალექსანდრე ხუჯაძე
ნინო რუხაძე
ლილე ლიპარტელიანი

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი - **გაიოზ თალაკვაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - **ლევან მიქავა**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი - **ირაკლი გვილავა**

სსიპ ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს უფროსი - **ვიქტორ წილოსანი**

სსიპ ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე - **ვასილ აბულაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი - **ირაკლი თავართქილაძე**

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №51-104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის N1 დეკრეტის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სამართალდაღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის N13-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

7. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში არსებული 10,000 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.39.034.004) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

8. „ქალაქ თბილისში, თორნიკე ერისთავის ქუჩის ჩიხი N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.08.036.140) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

9. „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N31-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.002.011) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

10. "ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის, 1 მიკრო/რაიონის კორპუს N7ა-ში (საკადასტრო კოდი: N 01.19.39.028.021.01.507) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

11. "ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ცოტნე დადიანის ქუჩა N11-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.105.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

12. "ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ცოტნე დადიანის ქუჩა N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.103.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

13. "ქალაქ თბილისში, ლერი ლაგურაშვილის ქუჩა N3-ში (საკადასტრო კოდი: 01.11.17.002.005.01.034) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

14. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.05.033.001.01.509) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

15. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

16. „ქალაქ თბილისის თვითმმართველ ერთეულსა და შპს „სასკოს“ (ს/კ: 205045636) (უფლებამონაცვლე - შპს „ფიტნეს 31“ (ს/კ: 404477464) შორის 2008 წლის 18 იანვრის გაფორმებულ ,,უძრავი ქონების ნასყიდობისა და იპოთეკის ხელშეკრულებაში'' (სანოტარო აქტი: N245/1) ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

17. „ქალაქ თბილისში, მარატ ნოზაძის ქუჩა N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.015.153; N01.11.12.015.146; N01.11.12.015.147) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

18. „ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N110-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

19. „ქალაქ თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩა N2-20-ის მიმდებარედ არსებული 16 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.114.11.031.086) პირდაპირი განკარგვის წესით მაირინე ჯიშკარიანისთვის (პ/ნ: 01009020593) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

20. ,,ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქ. N15ა-ში მდებარე 5,001 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.04.030.048) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

21. ,,ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა, N1ბ/გიგო ზაზიაშვილის ქუჩა, N2-ში არსებული 112.52 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: 01.16.02.040.002.01.507) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

22. „ქალაქ თბილისში, ერწოს ქ. N15-ის მიმდებარედ არსებული 2500 კვმ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.12.08.010.053) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

23. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „გოლდვინს“ (ს/კ 405308135) შორის 2019 წლის 21 იანვარს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის N0-441-36-23013“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

24. "ქალაქ თბილისში, დასახლება ვარკეთილი, მასივი III, კვარტალი I, კორპუსი 6-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.029.002.01.513) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

25. "ქალაქ თბილისში, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი 33-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.012.012.01.027) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

26. „ქალაქ თბილისში, პარკი „მზიურის“ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: 01.14.14.005.156) არსებული 461 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მზიანისთვის“ (ს/კ: 404488121) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

27. „ქალაქ თბილისში, ქუჩა ხუდადოვი, N173-ში (საკადასტრო კოდი N01.16.09.001.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

28. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების -ხელოვნების სკოლებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ქ.თბილისის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლის" (ს/ნ: 204526352) სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეების რაოდენობის შესაბამისად (წარმატებული მოსწავლეებისა და მათი მასწავლებლების წახალისების მიზნით) დაფინანსების პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 იანვრის N1-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

29. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

30. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

31. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

32. „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M_2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის დამსწრე წევრებს შესთავაზა დღის წესრიგის პროექტით გათვალისწინებული 22-ე საკითხის ამოღება, საკითხთან დაკავშირებული გარემოებების უკეთ შესწავლის მიზნით, კერძოდ მოსანაცვლებელი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების ხედვასთან დაკავშირებით და დღის წესრიგის აღნიშნულის გათვალისწინებით დამტკიცება.

თავმჯდომარემ წარმოდგენილი წინადადების გათვალისწინებით კომისიის წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

თავმჯდომარის წინადადების გათვალისწინებით, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა - **გაიოზ თალაკვაძემ,** სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №51-104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

გაიოზ თალაკვაძემ, დედაქალაქის **2020 წლის** ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილებები წარადგინა. მისივე თქმით, წარმოდგენილი ცვლილებები გაპირობებულია თბილისის მერიის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის, რაიონის გამგეობის და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციის დამატებითი მოთხოვნების შესახებ წინადადებების გათვალისწინებით, რაც ხორციელდება მიმდინარე პერიოდში ჩატარებული ტენდერებიდან მიღებული ეკონომიებისა და სხვადასხვა პროგრამებში/ქვეპროგრამებში ღონისძიებების ღირებულების დაზუსტებით გამოთავისუფლებული რესურსების ხარჯზე.

საკითხის წარმომდგენის თქმით, მოძიებული რესურსების საფუძველზე იზრდება პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები, მათ შორის: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები - **30 000,0 ათასი ლარი;** კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში– **482,3 ათასი ლარი;** დასუფთავების ღონისძიებები – **1 230,0 ათასი ლარი;** კეთილმოწყობისა და ასევე სხვა სოციალური დახმარებების ღონისძიებები. გარდა ამისა დაემატა ახალი ქვეპროგრამა - **სოციალური მზრუნველობის სააგენტოს ხელშეწყობა– 2 200,0 ათასი ლარი.**

მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფრომა განმარტა, რომ მცირდება თბილისის სხვადასხვა რაიონებში გზების მოვლა-შეკეთებისთვის განკუთვნილი ასიგნებები. ამასთან მცირდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები: საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია – **31 000,0 ათასი ლარი;** ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება – **1 865,1 ათასი ლარი;** თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა **4,2 ათასი ლარი;** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა– **1 111,7 ათასი ლარი,** მერიის ადმინისტრაცია **239,0 ათასი ლარი** და სხვა.

გაიოზ თალაკვაძემ, კომისიის წევრებს, გამგეობებისთვის მიკუთვნებულ პროგრამებსა და ქვეპროგრამებში ცვლილებების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა.

დასასრულს, **ბატონმა გაიოზმა** აღნიშნა, რომ დედაქალაქის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა **1 021 400,6 ათასი** ლარის, ხოლო ნაშთის ცვლილება კი **217 580,0 ათასი** ლარის ოდენობით განისაზღვრა.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარი თქმით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში, მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ **61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.**

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტს მხარი არ დაუჭირა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და **მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. გაიოზ თალაკვაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში წარუდგინა.

გაიოზ თალაკვაძის თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მომზადებულია სტრუქტურული ერთეულებიდან, რაიონების გამგეობებიდან და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მოწოდებული ინფორმაციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან, ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს, წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის, პროგრამების და ზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას,

ბატონი გაიოზის განმარტებით, წინა წლების ბიუჯეტების შესრულებების ანგარიშებისგან განსხვავებით, 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში დამატებულია პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები, რაც იძლევა საშუალებას შეფასდეს ბიუჯეტის შესრულების შესაბამისობა დაგეგმილ ბიუჯეტთან.

როგორც **ბატონმა თალაკვაძემ** აღნიშნა, 2019 წლიდან ქალაქის ერთ-ერთ პრიორიტეტად დასახული იქნა გენდერულად ორიენტირებული მუნიციპალური ბიუჯეტის ფორმირება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა განისაზღვრა 1,043,916.5 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1,160,126.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის 111.1%.

- ✓ **გადასახადები**-მთლიანობაში მობილიზებულია 708,992.3 ათასი ლარი;
- ✓ **ქონების გადასახადიდან** - მიღებულია 211,185.8 ათასი ლარი;
- ✓ **დამატებული ღირებულების გადასახადი** - მიღებულია 497,806.5 ათასი ლარი;
- ✓ **გრანტების სახით** ბიუჯეტში ჩარიცხულია 151,112.1 ათასი ლარი.
- ✓ **სანებართვო მოსაკრებელი** - მთლიანობაში მიღებულია 14,752.9 ათასი ლარი.

მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულ პრიორიტეტებზე დეტალურად ისაუბრა. მანვე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული პროგრამები/ქვეპროგრამები/ღონისძიებები დაასახელა. გაიოზ თალაკვაძემ ინფრასტრუქტურის ობიექტების დაფინანსების პარამეტრებიც ჩამოთვალა:

- **საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია - დაფინანსდა 25,442.7 ათასი ლარით;**
- **ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება - დაფინანსდა გეგმის 95.1%-ით;**
- **გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია - დაფინანსდა 30,723.3 ათასი ლარით;**
- **სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა დაფინანსდა 2,416.8 ათასი ლარით;**
- **კეთილმოწყობის ღონისძიებები დაფინანსებულია 59,807.6 ათასი ლარით;**

- **2015 წლის 13-14 ივნისს ძლიერი წვიმის შედეგად გამოწვეული სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები დაფინანსდა 192.5 ათასი ლარით.**

გაიოზ თალაკვაძემ ასევე განმარტა, რომ ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით დაფინანსდა; **გამწვანების ღონისძიებები** - 30,785.3 ათასი ლარით, **დასუფთავების ღონისძიებები** - 53,200.0 ათასი ლარით.

როგორც ბატონმა გაიოზმა აღნიშნა;

- **ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის კუთხით დაფინანსდა:**
- ბიზნესის სტიმულირება -555.9 ათასი ლარით;
- თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა - 690.4 ათასი ლარით;
- ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება - 49.7 ათასი ლარით;
- ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების შემუშავება - 411.0 ათასი ლარით.

- **ჯანმრთელობის დაცვა დაფინანსებულია 54,368.0 ათასი ლარით:**
- დაავადებათა სკრინინგი - 2,301.2 ათასი ლარით;
- აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია - 3,962.3 ათასი ლარით;
- ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება - 2,900.0 ათასი ლარით;
- ტრანსპლანტაცია - 7,605.4 ათასი ლარით;

- **სოციალური დაცვა დაფინანსებულია 150,960.5 ათასი ლარით:**
- კომუნალური სუბსიდირება - 8,027.9 ათასი ლარით;
- სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება - 9,453.0 ათასი ლარით;
- 100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარება - 33.0 ათასი ლარით;
- ომის ვეტერანების დახმარება - 132.0 ათასი ლარი;
- საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტრო ტრანსპორტით (მეტრო) და საბაგირო გზით საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება - 62,800.0 ათასი ლარი;
- უფასო სასადილოებით მომსახურება - 17,997.2 ათასი ლარი;
- დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია - 6,269.6 ათასი ლარი;
- წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება რაიონებში -739.8 ათასი ლარი;
- თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა -1,222.2 ათასი ლარი;
- სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება დაფინანსდა 100%-ით;
- შინმოვლის თანადაფინანსება - დაფინანსდა 96.2%.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ შეიმუშავა **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც დანართის სახით დაერთვება კომისიის მიერ შემუშავებულ დასკვნას.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას მიაჩნია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის

შესახებ უნდა იმსჯელოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, ამავე საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

მოისმინეს:

3. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - **ლევან ჟორჟოლიანმა,** სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის N1 დეკრეტის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სამართალდაღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების განსაზღვრის შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

როგორც საკითხის მომხესენებელმა აღნიშნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს, „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის N1 დეკრეტის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის და მის შედგენაზე უფლებამოსილი პირთა განსაზღვრას.

მომხსენებლის თქმით, საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლიდან და „საგანგებო მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონიდან გამომდინარე, ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ პანდემიაზე შესაბამისი რეაგირების მიზნით და იმისათვის, რომ სახელმწიფომ შეასრულოს თავისი კონსტიტუციური ვალდებულება – საზოგადოებაში აუცილებელი საზოგადოებრივი უსაფრთხოება, ქვეყნის მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხის შემცირება და სიტუაციის მართვა, საქართველოს პრეზიდენტმა **2020 წლის 21 მარტს გამოსცა №1 ბრძანება** „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ" და „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის **2020 წლის 21 მარტის N1 დეკრეტი**, რომელთა საფუძველზე საქართველოს მთავრობამ **2020 წლის 23 მარტს** გამოსცა „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ" №181 დადგენილება.

ლევან ჟორჟოლიანის განმარტებით, საქართველოს მთავრობის **2020 წლის 23 მარტის** „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ" **№181 დადგენილების მე-14 მუხლის** შესაბამისად, საქართველოში საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დაცვასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების დაცვას აღასრულებენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, ასევე მუნიციპალიტეტები. **მუნიციპალიტეტები უფლებამოსილნი ხდებიან, კომპეტენციის ფარგლებში, საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დაცვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე ადგილზე განიხილონ და სამართალდამრღვევს ადგილზევე შეუფარდონ ადმინისტრაციული სახდელი,** რომელიც განსაზღვრულია **საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის N1 დეკრეტის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით** და ფიზიკური **პირისთვის შეადგენს 3000 (სამი ათას) ლარს, ხოლო** იურიდიული **პირისათვის 15 000 (თხუთმეტი ათას) ლარს. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების განსაზღვრა უნდა მოხდეს მუნიციპალიტეტის ნორმატიული აქტით.**

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტით უნდა განხორციელდეს სწორედ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დაცვასთან დაკავშირებით საქმისწარმოების წესის განსაზღვრა, კერძოდ:

- განისაზღვრება, რომ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირებას განახორციელებენ და საჯარიმო ქვითრებს – **ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმებს გამოწერენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულებით განსაზღვრული შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის საჯარო მოხელეები.**
- **განისაზღვრება საჯარიმო ოქმის ფორმა.** გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყანა იმყოფება საგანგებო მდგომარეობაში და ყველა ქმედება ხორციელდება ფორსირებულად, მიზანშეწონილია, რომ მოცემულ შემთხვევებში სამართალდარღვევის დასაფიქსირებლად გამოყენებულ იქნას უკვე დამტკიცებული და არსებული საჯარიმო ქვითრები. აქედან გამომდინარე, საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისას **გამოიყენება** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის N28-96 დადგენილების მე-2 მუხლის „ბ" ქვეპუნქტით დამტკიცებული „საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა".**
- საჯარიმო ქვითრები - ოქმი გამოიყენება სწორედ იმ ფორმის, რაც დამტკიცებულია **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის N28-96** დადგენილებით, მიზანშეწონილია რომ ამ ოქმის ოქმის შენახვის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოების, აღრიცხვა-ანგარიშგების და მიღებული დადგენილების გასაჩივრების წესი განისაზღვროს ასევე N28-96 დადგენილების შესაბამისად.
- **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის N28-96 დადგენილების მე-2 მუხლის „ბ" ქვეპუნქტით დამტკიცებული** „საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა" ითვალისწინებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის და ნარჩენების მართვის კოდექსის შესაბამის მუხლებზე მითითებას. შესაბამისად, რადგან მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის არც ერთი ამ კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევა, **დადგენილების პროექტის თანახმად, ოქმის შესაბამის პუნქტებში შევსების დროს უნდა მიეთითოს,** არა ზემოაღნიშნული რომელიმე კოდექსი, არამედ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევისათვის შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომა რომელ სამართლებრივ აქტითაც არის განსაზღვრული, ანუ **„საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის N1 დეკრეტის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი.**
- წარმოდგენლ დადგენილების პროექტში ასევე მითითებულია, თუ რომელი დებულებები არ უნდა იქნას გამოყენებული **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის N28-96 დადგენილებიდან,** კერძოდ, **გასაჩივრებასთან და ჯარიმის გადახდასთან დაკავშირებული საკითხები მოწესრიგდება წინამდებარე დადგენილებით და არა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის N28-96 დადგენილებით.**
- დადგენილების პროექტით განისაზღვრება **გასაჩივრების წესი.** კერძოდ, აღნიშნულის მიხედვით პირს, ვის მიმართაც არის გამოტანილი სამართალდარღვევის დადგენილება, მისი გამოტანიდან 10 დღის ვადაში, შეუძლია გაასაჩივროს

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ზემდგომი თანამდებობის პირთან - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან ან სასამართლოში.

- დადგენილების პროექტით განისაზღვრება ასევე **ჯარიმის გადახდის მექანიზმი.** კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დამრღვევმა ჯარიმა ნებაყოფლობით უნდა გადაიხადოს საჯარიმო ქვითრის ჩაბარებიდან (გაცნობიდან) 30 დღის განმავლობაში.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა** დააფიქსირა თავის წინააღმდეგობრივი პოზიცია და მოქალაქეთა გადაადგილების შეზღუდვის ზედამხედველობის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭება მუნიციპალური ინსპექციის წარმომადგენლებზე არასწორად მიიჩნია.

ბატონმა ლევანმა განმარტა, რომ აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელება დაევალა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის შესაბამის სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებს, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტისა, რომელიც ორგანული კანონის ძალის მქონეა და მთავრობის შესაბამისი დადგენილების საფუძველზე. ლევან ჟორჟოლიანმა ასევე დაამატა, რომ სამართლებრივ მსჯელობას მოკლებულია საკითხი, რომ ორგანული კანონის ძალის მქონე აქტით განსაზღვრული ვალდებულება არ იქნეს შესრულებული და შესაბამისად კანონმქვემდებარე აქტი - მოცემულ შემთხვევაში საკრებულოს დადგენილება, მხოლოდ ორგანული კანონის დანაწესს ასრულებს და მასთან წინააღმდეგობაში ვერ მოვა.

თავმჯდომარემ იქვე დასძინა, რომ სასურველია პროექტის სამართლებრივი საფუძვლებიდან ამოღებულ იქნეს მითითება, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" **მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტზე.**

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტს მხარი არ დაუჭირა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და **მითითებული** შენიშვნის **გათვალისწინებით** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ლევან ჟორჟოლიანმა, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით** გათვალისწინებული **ჯანმრთელობის** დაცვის **ქვეპროგრამების** განხორციელების **წესების** დამტკიცების **შესახებ" ქალაქ** თბილისის **მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-10 დადგენილებაში** ცვლილების **შეტანის შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსებული ჯანდაცვისა და სოციალურ პროგრამებში დასაქმებული ადამიანები მარტისა და აპრილის შრომით ანაზღაურებას სრულად მიიღებენ. მისივე განმარტებით, აღნიშნული გადაწყვეტილების მიზეზია, პანდემიად აღიარებული ახალი კორონავირუსი და ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა, რის გამოც, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის მიმწოდებლები, მოკლებულნი არიან შესაძლებლობას გაუწიონ მომსახურება

ბენეფიციარებს და შესაბამისად, მიიღონ ქვეპროგრამის განმახორციელებლისგან შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება.

კომისიის თავმჯდომარის თქმით, წარმოდგენილი პროექტით, ცვლილება შედის ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **N52-10** დადგენილებით დამტკიცებულ **„აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესში“**. რომლის თანახმად, წესში აისახება ქვეპროგრამის განმახორციელებელის უფლებამოსილება, ერთჯერადად 2020 წლის მარტსა და აპრილში მიმწოდებლის სტატუსის მქონე დაწესებულებებზე, გასცეს ამავე თვეებში ქვეპროგრამის ფარგლებში დასაქმებული პირების შრომითი ანაზღაურების გაცემისათვის ავანსი, რომელიც თითოეულ თვეში შეადგენს მიმწოდებლის მიერ 2020 წლის თებერვალში წარმოდგენილი ასანაზღაურებელი შემთხვევების ფულადი ოდენობის 100%-ს.

მანვე განმარტა, რომ მომსახურების მომწოდებლები ვალდებულნი იქნებიან შემდგომში გასწიონ ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება, მიღებული ავანსის მოცულობის შესაბამისად.

აზრი გამოთქვა:

ბატონი ლევანის განმარტებით, სასურველია წარმოდგენილი დადგენილების პროექტის პირველი მუხლი ტექნიკურად გაიმართოს და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით. მისივე თქმით, სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით უმჯობესია დადგენილების პროექტის პირველი მუხლი ჩაიშალოს ქვეპუნქტებად.

გარდა ამისა, **თავმჯდომარემ განმარტა**, რომ მიზანშეწონილია, პროექტით წარმოდგენილი წესის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტში შესწორების შეტანა, რომლის მიხედვითაც, ქვეპროგრამის მიმწოდებლებმა შემდგომში მომსახურეობა წინასწარ მიღებული ავანსის ფარგლებში უნდა განახორციელონ ქვეპროგრამის განმახორციელებელთან შეთანხმებით. კომისიის წევრები დაეთანხმნენ აღნიშნულ შესწორებას და პუნქტის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბებას.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მე-5** საკითხთან მიმართებაში კომისიის **თავმჯდომარემ** აღნიშნა, რომ მსგავსად მე-4 საკითხისა, ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტით ცვლილება შედის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N52-9 დადგენილებით დამტკიცებულ წესებში, კერძოდ, ქვეპროგრამების - **„უფასო სწავლება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში“, „უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში“**, განმახორციელებელი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური, უფლებამოსილი ხდება, 2020 წლის მარტსა და აპრილში მომსახურებების მიმწოდებლის სტატუსის მქონე დაწესებულებებზე, ამავე თვეებში, ქვეპროგრამების ფარგლებში დასაქმებული პირებისათვის, წინასწარ, ავანსის სახით

გასცეს 2020 წლის თებერვალში, მითითებული წესებით გათვალისწინებული ასანაზღაურებელი შემთხვევების ფულადი ოდენობის 100%.

მანვე განმარტა, რომ ქვეპროგრამების მიმწოდებლები, ვალდებულები იქნებიან, 2020 წლის მარტსა და აპრილში, ავანსის სახით მიღებული თანხების მოცულობის შესაბამისად, ქვეპროგრამის მოსარგებლეებს გაუწიონ წესებით გათვალისწინებული მომსახურებები განმახორციელებელთან შეთანხმებით.

აზრი გამოთქვა:

თავმჯდომარის თქმით, მიზანშეწონილია, პროექტის პირველი მუხლის პირველ პუნქტში სწორი რედაქციით მიეთითოს ქვეპროგრამის: **„უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში“** კოდი და აღნიშნული პუნქტი ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და **მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - **ირაკლი თავართქილაძემ,** სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის N13-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ცვლილებები შედის ქ, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **№13-42** დადგენილებით დამტკიცებულ, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს დებულებაში, კერძოდ, **დებულების მე-4, მე-6, მე-7, მე-8, მე-10, მე-11 მუხლებში, ხოლო მე-11[1] მუხლი ამოღებული იქნება.**

საკითხის წარმომდგენის თქმით, ცვლილებების შესაბამისად;

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს სამსახურებრივი საჭიროებებიდან გამომდინარე და მის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების უფრო ეფექტურად განხორციელების მიზნით, წარმოდგენილი ცვლილების პროექტის შესაბამისად, **სააგენტოს უფროსს ეყოლება ორი მოადგილე, ნაცვლად ერთისა.** მოადგილეები ამავდროულად იქნებიან სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები და სააგენტოს უფროსის არყოფნის ან მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, შეასრულებენ მის მოვალეობებს.
- **სააგენტოს ექნება სამი სტრუქტურული ქვედანაყოფი, ნაცვლად ოთხისა** და დღეს არსებული **„საინვესტიციო პროექტების განვითარებისა და მართვის სამმართველო“ შევა** იურიდიული სამსახურის შემადგენლობაში.

- **იურიდიულ სამსახურს ეცვლება სახელწოდება და განისაზღვრება, როგორც „იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახური“, ხოლო დღეს არსებულ საინვესტიციო პროექტების განვითარებისა და მართვის სამმართველოს ეწოდება „საინვესტიციო პროექტების მართვისა და ხელშეკრულებების მონიტორინგის სამმართველო“,** აღნიშნული სამმართველო დაექვემდებარება იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსს.

დასასრულს, **ბატონმა ირაკლიმ** აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი ასევე ითვალისწინებს რამდენიმე ნორმაში ტექნიკური ხასიათის ცვლილების განხორციელებას.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა **და ადამიანის** უფლებათა **დაცვის** კომისიის **თავმჯდომარის** თქმით, პროექტის პრეამბულიდან ამოღებული უნდა იქნეს საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ **68-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.** ამასთან, სასურველია, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის პირველი მუხლის პირველი წინადადება გასწორდეს და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

კომისიის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით უმჯობესია დადგენილების პროექტის შესაბამის მუხლებში ტექნიკურად გაიმართოს ანბანური რიგითობა.

თავმჯდომარემ, მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტში და შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბება:

,,2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელება, სააგენტოს უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, შეიძლება დაევალოს სააგენტოს უფროსის მოადგილეს/<u>მოადგილეებს</u> ან/და სამსახურის <u>უფროსს</u>.“

თავმჯდომარის თქმით, ვინაიდან, წარმოდგენილი ცვლილებების მიხედვით, სამსახურს ეყოლება 2 მოადგილე, ხოლო მოადგილეების გარდა, დარჩება სტრუქტურული ქვედანაყოფის ერთი უფროსი. შესაბამისად ზემოხსენებულ პუნქტში უნდა მიეთითოს ,,სააგენტოს უფროსის მოადგილე/**მოადგილეები**“ და სამსახურის ,,**უფროსი**“, **ნაცვლად ,,უფროსებისა“.**

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. ირაკლი თავართქილაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „**ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში არსებული 10,000 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.39.034.004) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, სამგორის რაიონში არსებული **10,000 კვ.მ** მიწის ნაკვეთის, **მთავრობის N20.281.303** განკარგულების განსაზღვრულ პირთათვის (სულ 23 პირი), პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** პრივატიზებით გადაცემას.

საკითხის წარმომდგენმა განმარტა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ, ყოფილი რადიოქარხნის ტერიტორიაზე არსებულ უძრავ ქონებაზე დაიგეგმა მასშტაბური საინვესტიციო პროექტის განხორციელება. ამ მიზნით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ შესაბამისი ბრძანების თანახმად, შესაბამისი საინვესტიციო ვალდებულების განხორციელების პირობით, გასხვისდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, რომელიც წარმოადგენდა პროექტის განხორციელების არეალს. ტერიტორიაზე განთავსებული შენობა-ნაგებობები კი დღეის მდგომარეობით დაკავებული აქვთ თვითნებურად ცალკეულ პირებს და ახორციელებენ მასზე სამეწარმეო საქმიანობას.

ირაკლი თავართქილაძის თქმით, მეწარმეთა საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, მუნიციპალიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, ეწარმოებინა ზემოაღნიშნულ პირებთან მოლაპარაკებები, საპროექტო ტერიტორიის უმოკლეს ვადებში გათავისუფლებისა და **მათთვის ალტერნატიული ფართის გამოყოფასთან დაკავშირებით.**

ბატონმა თავართქილაძემ კომისიის წევრებს განუმარტა, რომ ორმხრივი მოლაპარაკებების შედეგად, დაინტერესებული პირების მიმართ შეთავაზებულ იქნა მათთვის გადასაცემი ალტერნატიული ფართობები, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში, ნაკლებია მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების ფართობზე. მისივე თქმთ, გადასაცემად შერჩეულ სამგორის რაიონში მდებარე **86,137 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: № 01.19.39.035.001) ნაწილი, რომელიც მდებარეობს შერეულ სამრეწველო ქვეზონაში,** უზრუნველყოფილია კეთილმოწყობილი მისასვლელი გზითა და ყველა საჭირო კომუნიკაციით, რაც მაქსიმალურად უზრუნველყოფს სამეწარმეო საქმიანობის ხელსაყრელ პირობებში განხორციელებას.

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა აღნიშნა, რომ საკითხთან დაკავშირებით არსებობს დაინტერესებულ პირთა წერილობითი თანხმობა, მათ მიერ თვითნებურად დაკავებული ტერიტორიის გათავისუფლებასა და მათთვის გადასაცემი უძრავი ქონებიდან ინდივიდუალურად შეთავაზებული ფართობის მიწის ნაკვეთების მიღებასთან დაკავშირებით. ასევე, ყოფილი რადიოქარხნის ტერიტორიაზე არსებულ უძრავი ქონების - **რადიოქალაქი, ტერიტორიის განვითარების კვლევა** და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა, ყოფილი რადიოქარხნის ტერიტორიაზე არსებულ უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებებთან დაკავშირებით.

დასასრულს, სააგენტოს უფროსმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილ პირებს განესაზღვრათ კონკრეტული ვადა ტერიტორიის განთავისუფლებასთან დაკავშირებით, მიმდინარე მოვლენებიდან გამომდინარე არნიშნული ვადა შეიცვალა და ამ მიზნით მთავრობის განკარგულებით საკრებულოში წარმოდგენილ ხელშეკრულების პროექტში შეიცვალა შესაბამისი პუნქტი, რაც ასევე დამატების სახით თავდაპირველ პროექტთან ერთად განხილვის მიზნით წარმოდგენილ იქნა საკრებულოში.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა** განაცხადა, რომ ყოფილი რადიოქარხნის ტერიტორიაზე არსებულ ფართებს წლების განმავლობაში თვითნებურად იკავებენ ცალკეული პირები, რომლებიც უკანონოდ სარგებლობენ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებით და მოგების მიღების მიზნით

ახორციელებენ სამეწარმეო საქმიანობას. ქალბატონმა ლილემ მიზანშეუწონლად მიიჩნია აღნიშნული პირებისთვის **10,000 კვ.მ** მიწის ნაკვეთის გადაცემა.

ბატონმა თავართქილაძემ ლილე ლიპარტელიანის საპასუხოდ განმარტა, რომ პირები რომლებიც ყოფილი რადიოქარხნის ტერიტორიაზე ახორციელებენ სამეწარმეო საქმიანობას, ათეულია წლებია ფლობენ აღნიშნულ ტერიტორიას და ასევე, წლების განმავლობაში ითხოვდნენ აღნიშნული ტერიტორიის იჯარის ფორმით გადაცემას. ამასთან, ირაკლი თავართქილაძის თქმით, აღნიშნული პირების მიერ განხორციელებული საქმიანობის შედეგად ათეულობით ოჯახი იღებს შემოსავალს. „იმისათვის, რომ ადამიანებმა არ დაკარგაონ სამუშაო ადგილები და შემოსავალი, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აღნიშნულ პირები დაკმაყოფილდნენ ალტერნატიული ფართებით, სადაც შეძლებენ თავიანთი საქმიანობის უწყვეტად გაგრძელებას"- **განაცხადა ირაკლი თავართქილაძემ.**

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ასევე განმარტა, რომ რადიოქარხნის განვითარების პროექტი აუქციონზე 23 მლნ ლარად გაიყიდა, რასაც ემატება 8 მლნ დოლარის განსახორციელებელი ინვესტიცია. მისივე თქმით აღნიშნული თანხა ბევრად აღემატება გადასაცემი მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებას.

ლილე ლიპარტელიანი დაინტერესდა პროექტის გასაჩივრების ვადებთან დაკავშირებით.

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ ყველა სხვა აქტის მსგავსად, აღნიშნულ აქტსაც აქვს გასაჩივრების ვადა მითითებული, რაც ასევე კანონმდებლობით არის გათვალისწინებული.

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს ასევე, საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს **N21-85 დადგენილებით** დამტკიცებული წესის **მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი.** გარდა ამისა, სასურველია **შეიცვალოს** წარმოდგენილი განკარგულების პროექტის **პირველი და მეორე პუნქტები** და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული** შენიშვნების **გათვალისწინებით** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. ირაკლი თავართქილაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, **„ქალაქ თბილისში, თორნიკე ერისთავის ქუჩის ჩიხი N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.08.036.140) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის** ფორმით **პრივატიზების** თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქ.თბილისში, თორნიკე ერისთავის ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონების, თინათინ ხუროშვილისთვის (47,20 კვ. მ. ფართი), ნოდარ წერეთლისთვის (73,4 კვ. მ. ფართი) და მანანა წერეთლისთვის (42,9 კვ. მ. ფართი), პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად, პრივატიზებით გადაცემას.**

საკითხის წარმომდგენის თქმით, ქონების გადაცემით დაინტერესებული პირები, დაახლოებით **2002** წლიდან ცხოვრობენ ზემოაღნიშნულ მისამართზე, რაც დასტურდება

შესაბამისი მოქალაქეების მიერ სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებებითა და ასევე, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს მიერ შედგენილი გასაუბრების ოქმებით.

როგორც **ირაკლი თავართქილაძემ** განმარტა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილია ნაძალადევის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობა, ზემოხსენებულ პირთათვის მათ დაინტერესებაში არსებული ფართების **გადაცემასთან დაკავშირებით.** ასევე, წარდგენილია აბონენტის ქვითრები და აღნიშნული პირების მიერ დაკავებული ფართების ფოტომასალა.

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, თინათინ ხუროშვილის, ნოდარ წერეთლისა და მანანა წერეთლის სახელზე, საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

დასასრულს, **ზატონმა ირაკლიმ** განმარტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ქონების გადაცემით დაინტერესებულ ზოგიერთ პირს უფიქსირდება ალტერნატიული უძრავი ქონება და ასევე დროის გარკვეულ მონაკვეთში ქონების გასხვისების ფაქტებიც, მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, მათთვის დაინტერესებაში არსებული ფართების **გადაცემასთან დაკავშირებით** და შესაბამისად **საკრებულოსთან** წარმოდგენილია **საკითხი შესათანხმებლად.**

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია, განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნეს ტექნიკური თვალსაზრისით. ამასთან, სასურველია **შეიცვალოს** წარმოდგენილი განკარგულების პროექტის **პირველი და მეორე პუნქტები** და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული** შენიშვნების **გათვალისწინებით** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. ირაკლი თავართქილაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, **„ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N31-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.002.011) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობის შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის №31-ში არსებული უძრავი ქონება, **სიმბოლურ ფასად 1 (ერთ) ლარად,** საკუთრებაში გადაეცემა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის **N20.254.320** განკარგულებით განსზღვრულ **20(ოცი)** მოქალაქეს.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ქონების გადაცემით დაინტერესებული პირები დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობენ დაინტერესებაში არსებულ ფართებში, რასაც ადასტურებს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველო, სამგორის რაიონის გამგეობისადმი მიმართული წერილით. აღნიშნული ფაქტი ასევე დასტურდება,

დაინტერესებული პირების მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებითა და სამგორის რაიონის გამგეობის თანამშრომლის მიერ ცხოვრების ფაქტის შემოწმების ოქმებით.

დასასრულს, ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, ქონების გადაცემით დაინტერესებულ პირებისა და მათი ოჯახის წევრების სახელზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული არ არის.

დასასრულს, ბატონმა ირაკლიმ განმარტა, რომ მგავსად ერისთავის ქუჩისა, აღნიშნულ შემთხვევაშიც ქონების გადაცემით დაინტერესებულ ზოგიერთ პირს უფიქსირდება ალტერნატიული უძრავი ქონება და ასევე დროის განსაზღვრულ მონაკვეთში ქონების გასხვისების ფაქტები, მიუხედავად აღნიშნულისა, მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, მათთვის დაინტერესებაში არსებული ფართების **გადაცემასთან დაკავშირებით და საკითხის საკრებულოსთან** შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია, განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნეს ტექნიკური თვალსაზრისით. ამასთან, სასურველია **შეიცვალოს** წარმოდგენილი განკარგულების პროექტის **პირველი და მეორე პუნქტები** და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული** შენიშვნების **გათვალისწინებით** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. ირაკლი თავართქილაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, **"ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის, 1 მიკრო/რაიონის კორპუს N7ა-ში (საკადასტრო კოდი: N 01.19.39.028.021.01.507) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი** განკარგვის **ფორმით პრივატიზების თაობაზე"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, სამგორის რაიონის გამგეობის შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის, 1 მიკრო/რაიონის კორპუს N7ა-ში მდებარე **29.08** კვ.მ უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** პრივატიზებით **საკუთრებაში** გადაეცემა, დევნილის სტატუსისი არქონე მოქალაქეს - ლიანა ჩხარტიშვილს.

საკითხის წარმოდგენის თქმით, მოქალაქე **ლიანა ჩხარტიშვილი,** 10 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, **დაახლოებით 2000 წლიდან** დღემდე, ნამდვილად ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე, რაც დასტურდება, დაინტერესებული პირის მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობითა და ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის VIII განყოფილების წერილით.

ბატონი თავართქილაძის განმარტებით, საკითხთან დაკავშირებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში **წარდგენილია კომუნალური გადასახადის ქვითრები, სადაც ლიანა**

ჩხარტიშვილი აღნიშნულ მისამართზეა რეგისტრირებულია აბონენტად და სისტემატურად იხდის გადასახადს.

დასასრულს, ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, ლიანა ჩხარტიშვილის სახელზე, საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე **რეგისტრირებული** არ არის.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - **ლევან ჟორჟოლიანის** თქმით, სასურველია, განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნეს ტექნიკური თვალსაზრისით. ამასთან, სასურველია **შეიცვალოს** წარმოდგენილი განკარგულების პროექტის **პირველი და მეორე პუნქტები** და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული** შენიშვნების **გათვალისწინებით** მომზადებულად **მიიჩნიეს** საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. ირაკლი თავართქილაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, **"ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ცოტნე დადიანის ქუჩა N11-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.105.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი** განკარგვის ფორმით **პრივატიზების** თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, მთაწმინდის რაიონის გამგეობის შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ცოტნე დადიანის ქუჩა N11-ში, მდებარე **92.33** კვ.მ ფართობის უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1** (ერთი) ლარად პრივატიზებით საკუთრებაში გადაეცემა, დევნილის სტატუსის არმქონე **მოქალაქე** - ოთარი ბარაჩაშვილს, რომელიც **1990** წლიდან დღემდე, ოჯახთან ერთად ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე, რაც დასტურდება, ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს წერილით და მასზე თანდართული გასაუბრების ოქმებით, მთაწმინდის რაიონის გამგეობის შესაბამისი საუბნო სამსახურის თანამშრომლების გამოკითხვის ოქმებითა და ასევე დაინტერესებული პირის მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებით.

დასასრულს, ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, მოქალაქე ოთარი ბარაჩაშვილისა და მისი ოჯახის წევრების სახელზე, საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე **რეგისტრირებული** არ **არის.**

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - **ლევან ჟორჟოლიანის** თქმით, სასურველია, განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნეს ტექნიკური თვალსაზრისით. ამასთან, სასურველია **შეიცვალოს** წარმოდგენილი განკარგულების პროექტის **პირველი და მეორე პუნქტები** და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული** შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. დღის წესრიგით გათვალისიწინებულ მე-12 საკითხთან დაკავშირებით, **ირაკლი თავართქილაძემ** აღნიშნა, რომ ასევე მთაწმინდის რაიონის გამგეობის შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ცოტნე დადიანის ქუჩა № 2-ში, პირველ სართულზე მდებარე 119.3 კვ. მ. ფართობის უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ** ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებით საკუთრებაში გადაეცემა, **მოქალაქეს - ხათუნა ღამბაშიძეს,** რომელიც აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს **1990 წლიდან,** რაც დასტურდება, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს შესაბამისი თანამშრომლის მიერ შედგენილი გასაუბრების ოქმითა და სამი მოქალაქის სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით.

დასასრულს, **ირაკლი** თავართქილაძემ აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, ხათუნა ღამბაშიძის სახელზე, საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე **რეგისტრირებული** არ არის.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია, განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნეს ტექნიკური თვალსაზრისით. ამასთან, სასურველია **შეიცვალოს** წარმოდგენილი განკარგულების პროექტის **პირველი და მეორე პუნქტები** და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული** შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. ირაკლი თავართქილაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი,**"ქალაქ თბილისში, ლერი ლაგურაშვილის ქუჩა N3-ში** (საკადასტრო კოდი: 01.11.17.002.005.01.034) **მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის** ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, გლდანის რაიონის გამგეობის შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ლერი ლაგურაშვილის ქუჩა N3-ში მდებარე **36.06 კვ.მ** ფართი, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - **1 (ერთი) ლარად** პრივატიზებით საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე - ნანი გოგატიშვილს, რომელიც რომელიც **27 წელია** ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

ბატონმა ირაკლიმ კომისიის წევრებს განუმარტა, რომ აღნიშნული მოქალაქე ირიცხება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და ამავდროულად არის **შშმ პირი**. მისივე თქმით, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო არ არის წინააღმდეგი მათ ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი ფართი გადაეცეს ქ. თბილისის თვითმმართველ ერთეულს, შემდგომში მოქალაქე ნანი გოგატიშვილის საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

ირაკლი თავართქილაძემ ასევე განმარტა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის III განყოფილების წერილის მიხედვით დასტურდება, რომ მოქალაქე **ნანი გოგატიშვილი** ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე 26 წელია.

დასასრულს, ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, ნანი გოგატიშვილის სახელზე, საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე **რეგისტრირებული არ არის.**

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია, განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნეს ტექნიკური თვალსაზრისით. ამასთან, სასურველია **შეიცვალოს** წარმოდგენილი განკარგულების პროექტის **პირველი და მეორე პუნქტები** და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული** შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. ირაკლი თავართქილაძემ, დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-14 საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ ქალაქ თბილისში, **დავით აღმაშენებლის გამზირი N14-ში მდებარე 30.20** კვ.მ ფართობის უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1** (ერთი), ლარად მოქალაქე გიორგი ბასილაშვილს **გადაეცემა**, რომელიც, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს პოლიციის V განყოფილების ინფორმაციით, აღნიშნულ მისამართზე ოჯახთან ერთად ცხოვრობს 1989 წლიდან.

საკითხის წარმომდგენმა ასევე განმარტა, რომ ჩუღურეთის **რაიონის** გამგეობაში ჩატარებული ადმინისტრაიული წარმოების ოქმისა და შესაბამისი მოქალაქეების ნოტარიულად დამოწმებული აქტების თანახმად, გიორგი ბასილაშვილი ოჯახთან ერთად ნამდვილად ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე.

დასასრულს, ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, გიორგი ბასილაშვილისა და მისი ოჯახის წევრების სახელზე, საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე **რეგისტრირებული არ არის.**

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია, განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნეს ტექნიკური თვალსაზრისით. ამასთან, სასურველია **შეიცვალოს** წარმოდგენილი განკარგულების პროექტის **პირველი და მეორე პუნქტები** და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული** შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. ირაკლი თავართქილაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ **თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში** არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების **საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს** სამოციქულო ავტოკეფალური **მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი** განკარგვის ფორმით **პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების** შეთანხმების **შესახებ** თანხმობის **გაცემის თაობაზე"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების (ატრაქციონები და საქანელები) სსიპ – საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად – 1 (ერთი) **ლარად** პრივატიზებით გადაცემას, წმ. თეოდორე ტირონის სახელობის **სარეაბილიტაციო ცენტრის შეზღუდული შესაძლებლობის** მქონე 15 (თხუთმეტი) ბავშვის **საჭიროებისათვის.**

საკითხის წარმომდგენმა იქვე დასძინა, რომ ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაცია არ არის წინააღმდეგი, მითითებული მოძრავი ქონება საკუთრებაში გადაეცეს საქართველოს საპატრიარქოს.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის თქმით, წარმოდგენილი განკარგულების **პროექტის პროექტის სათაურის, პირველი** და მე–2 პუნქტების მიმართ სტრუქტურულ–ტექნიკური ხასიათის შენიშვნების გათვალისწინებით, კომისიამ შეიმუშავა ახალი, შესწორებული განკარგულების პროექტი, რომელიც დანართის სახით დაერთვება კომისიის მიერ შემუშავებულ დასკვნას.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად გადაწყვიტეს, რომ კომისიის მიერ შემუშავებულ დასკვნაზე დანართად წარმოდგენილი განკარგულების პროექტი განხილულ უნა იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

მოისმინეს:

16. ირაკლი თავართქილაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, **„ქალაქ თბილისის თვითმმართველ ერთეულსა** და შპს „სასკოს" (ს/კ: 205045636) (უფლებამონაცვლე - **შპს „ფიტნეს 31" (ს/კ: 404477464)**

შორის 2008 წლის 18 იანვრის გაფორმებულ „უძრავი ქონების ნასყიდობისა და იპოთეკის ხელშეკრულებაში" (სანოტარო აქტი: N245/1) ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, თანხმობის მიცემას, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის, ქ.თბილისის თვითმმართველ ერთეულსა და შპს „სასკოს" (უფლებამონაცვლე: შპს „ფიტნეს 31") შორის 2008 წლის 18 იანვარს გაფორმებულ ,,უძრავი ქონების ნასყიდობისა და იპოთეკის ხელშეკრულებაში'' ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, განკარგულების დანართით წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად.

საკითხის წარმომდგენის თქმით, ქ.თბილისის თვითმმართველ ერთეულსა და შპს „სასკოს" შორის დადებული ზემოაღნიშნული ხელშეკრულებისა და ხელშეკრულებაში შესული ცვლილებებისა და დამატებების თანახმად, მყიდველს განესაზღვრა რიგი საინვესტიციო ვალდებულებები, მათ შორის ქ. თბილისში, „თბილავიამშენის" მიმდებარედ არსებული **600 კვ.მ** (ს/კ 01.19.35.007.007), ასევე, ბ. ხმელნიცკის 181-ში მდებარე **4514 კვ.მ** (ს/კ 01.19.35.007.008) და ბ. ხმელნიცკის ქ. 181-ში არსებული **3425** კვ.მ (ს/კ 01.19.35.007.036) **საპრივატიზაციო ობიექტების აღჭურვა და რეაბილიტაცია და განსაზღვრული სპორტული პროფილის შენარჩუნება 10 წლის განმავლობაში.**

ბატონი ირაკლის თქმით:

- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს **ექსპერტიზის დასკვნების** თანახმად, ბ. ხმელნიცკის ქ. 181-ში, მდებარე შენობა-ნაგებობაზე 10 წლის განმავლობაში შენარჩუნებულია სპორტული პროფილი.

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურმა **2018 წლის 7 ნოემბრის წერილით,** აცნობა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს, მყიდველის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის თაობაზე, კერძოდ: **შპს „ფიტნეს 31"** მიერ, ქ. თბილისში, ბ. ხმელნიცკის ქ. 187, **4514 კვ.მ**; ბ. ხმელნიცკის ქ. 181, **3425 კვ.მ**; თბილავიამშენის მიმდებარედ, **600 კვ.მ** საპრივატიზებო ობიექტზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებიდან შესრულებულად ფიქსირდებოდა შემდეგი: უნივერსალური საფარით დამზადებული დახურული კომბინირებული მოედანი ზომით 40/20; 2 ტატამიანი ძიუდოს დარბაზი ზომით 30/20; ტრენაჟორების დარბაზი 15 სხვადასხვა სახის ტრენაჟორით; ქართული და აღმოსავლური ორთაბრძოლების დარბაზი; ადმინისტრაციული შენობა. ამასთან, წარმოდგენილ წერილში შენიშვნის სახით მითითებულია, რომ ღია ხელოვნურსაფარიანი კომბინირებული სათამაშო მოედანი ზომით 40/20 არის დაზიანებული და არ გამოიყენება სავარჯიშოდ; ოთახში დაზიანებულია ჭერი და ობიექტზე მდებარეობს ესთეტიკური ცენტრი.

- **2019 წლის 18 სექტემბერს** მყიდველმა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსთვის **ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დადასტურებისა და უძრავ ქონებაზე შეზღუდვის მოხსნის** თაობაზე **ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების** და **სხვა დაკავშირებული მოთხოვნებით.**

- **შპს „ფიტნეს 31" -მა 2020 წლის 4 თებერვლის** განცხადებით, გამყიდველს წარმოუდგინა წინადადება **N01.19.35.007.113** საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შეზღუდვისგან გამოთავისუფლებისა და N01.19.35.007.104, N01.19.35.007.103 და N01.19.35.007.109 საკადასტრო ერთეულებზე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე დამატებითი საინვესტიციო ვალდებულების განხორციელებისა და სპორტული ფუნქციის მუდმივად შენარჩუნების თაობაზე.

- **2020 წლის 21 თებერვალს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტომ, **წერილით**, მოსთხოვა მყიდველს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დაზუსტებული დასკვნის წარმოდგენა, რომლითაც შეფასდებოდა საპრივატიზებო ობიექტებზე (**01.19.35.007.104; 01.19.35.007.103; 01.19.35.007.109; 01.19.35.007.113**) სპორტული ფუნქციის 10 წლის განმავლობაში შენარჩუნების ვალდებულების შესრულება, ხელშეკრულების დანართი N1-ის მიხედვით.

- **შპს „ფიტნეს 31" -მა 2020 წლის 25 თებერვლის** განცხადებით, დამატებით წარმოადგინა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს **2020 წლის 24 თებერვლის** წერილი, მყიდველის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

ირაკლი თავართილაძის თქმით, დგინდება საპრივატიზაციო ობიექტებზე **გარკვეული ვალდებულებების შესრულება,** თუმცა, ამავდროულად, **ვლინდება მყიდველის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების გარკვეული დარღვევები.**

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის თქმით, ზემოაღნიშნული მოცემულობის გათვალისწინებით, რამდენადაც მუნიციპალიტეტის ინტერესს წარმოადგენს **N01.19.35.007.104, N01.19.35.007.103 და N01.19.35.007.109** საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე არსებული სპორტული კომპლექსის განვითარება და დამატებითი ინფრასტრუქტურით აღჭურვა, ასევე, საპრივატიზებო ობიექტებზე **სპორტული ფუნქციის მუდმივად შენარჩუნება,** მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ხელშეკრულებაში ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე შეთანხმების დადება, რომლითაც განისაზღვრება შემდეგი საინვესტიციო ვალდებულებები:

- მყიდველი კისრულობს ვალდებულებას, განახორციელოს დამატებით **300 000 (სამასი ათასი) ლარის ოდენობის ინვესტიცია**, შეთანხმების დადებიდან **2 წლის ვადაში** ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საპრივატიზებო ობიექტებზე დანართი N1-ით გათვალისწინებული სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების/განვითარების და დამატებით აღჭურვის მიზნით. მყიდველი ეკისრება ვალდებულება, გამყიდველს წინასწარ აცნობოს და მასთან შეათანხმოს ზემოაღნიშნული ინვესტიციის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოები, მათი სავარაუდო საინვესტიციო ღირებულება და შესრულების ვადები. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, მყიდველი უფლებამოსილია ზემოაღნიშნული სამუშაოები განახორციელოს მხოლოდ გამყიდველის წერილობითი თანხმობით.

- ხელშეკრულებით განსაზღვრული სპორტული პროფილის შენარჩუნების პირობა, **ნაცვლად 10 წლისა, შემდეგ საპრივატიზებო ობიექტებზე განისაზღვრება მუდმივი ვალდებულებით (განუსაზღვრელი ვადით)**:

  - ქალაქ თბილისში, ქუჩა ბ. ხმელნიცკი, N181-ში 3534 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა

ნაგებობები N1 და N2, საერთო ფართობით 1840 კვ.მ **(საკადასტრო კოდი: 01.19.35.007.103);**

- ქალაქ თბილისში, ქუჩა ბ. ხმელნიცკი, N181-ში (ნაკვ. 07/008) 980 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი **(საკადასტრო კოდი: 01.19.35.007.104);**
- ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N185-ში 355 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი **(საკადასტრო კოდი: 01.19.35.007.109).**

- ამასთან, წარმოდგენილი შეთანხმების პროექტის თანახმად, მყიდველი კისრულობს ვალდებულებას, შეთანხმების დადებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში მიმართოს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმდინარე სასამართლო დავის შეწყვეტისა და სარჩელზე სრულად უარის თქმის შესახებ განცხადებით, რის საფუძველზეც გამოცემულ უნდა იქნას სასამართლო განჩინება მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის შესახებ. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, მყიდველს არ აქვს და არ წარმოეშობა უფლება სარჩელით მიმართოს სასამართლოს არსებითად იმავე საფუძვლითა და იმავე საგანზე.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია **შეიცვალოს** წარმოდგენილი განკარგულების პროექტის **პირველი და მეორე პუნქტები** და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა **- ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

17. **ირაკლი თავართქილაძემ,** დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-17 საკითხთან მიმართებაში აღნიშნა, რომ გლდანის რაიონის გამგებელის წერილობითი შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქ.თბილისში, მარატ ნოზაძის ქუჩა N14-ში, N16-ში და N18-ში მდებარე უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** პრივატიზებით გადაეცემა, მთავრობის **№20.316.361** განკარგულების დანართი 1-ით წარმოდგენილ ნუსხაში მითითებულ შემდეგ პირებს:

სოფიკო ჯღარკავა - 70.91კვ.მ; მაგული გელაშვილი - 68.92 კვ.მ; ზვიად ჭიჭაღუა - 19.07 კვ.მ; ვარდო ჯახუა - 23.59 კვ.მ, 23.59 კვ.მ, 8.40 კვ.მ; მარეხი მდინარაძე - 7.20 კვ.მ; თეონა დრიაშვილი - 95.16 კვ.მ; თამილა სილაგაძე - 98.58 კვ.მ; გია სილაგაძე - 114.85 კვ.მ; მზიური ნაროუშვილი - 83.53 კვ.მ; თეა ფაცურია - 48.10 კვ.მ.

საკითხის წარმომდგენმა განმარტა, რომ ნოტარიულად დამოწმებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „სამურზაყანოს" შესაბამისი კრების ოქმის თანახმად, მითითებული მოქალაქეები ნამდვილად ცხოვრობენ ზემოაღნიშნულ მისამართზე **2002-2011 წლებიდან.** ამასთან, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის პირველი განყოფილების რეაგირების ოქმის მიხედვით, ზემოაღნიშნული მოქალაქეები **10 წელზე მეტია** ნამდვილად ცხოვრობენ ზემოთ მითითებულ მისამართზე.

დასასრულს, **ირაკლი თავართქილაძემ** აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი 1-ით წარმოდგენილ პირებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე **რეგისტრირებული არ არის.**

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია, განკარგულების პროექტის სათაური, განკარგულების პროექტის **პირველი და მეორე პუნქტები** გასწორდეს და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

18. ირაკლი თავართქილაძემ, წარადგინა **„ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N110-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი და განმარტა, რომ ისნის რაიონის გამგებელის შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, საინგილოს ქუჩა N110-ში მდებარე უძრავი ქონება, **სიმბოლურ** ფასად - 1 (ერთი) **ლარად** პრივატიზებით გადაეცემა: **ელზა ჭეიშვილს - 91.63 კვ.მ; ტატიანა ივანოვას - 43.52 კვ.მ და ნუგზარ ცინცაძეს - 62.16 კვ.მ.**

საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, რომ ქონების გადაცემით დაინტერესებული ზემოაღნიშნული პირები არიან ყოფილი და მოქმედი სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც **2007-2008** წლებიდან ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე, შენობაში რომელიც ადრე წარმოადგენდა სამხედრო მოსამსახურეთათვის განკუთვნილ სასადილო შენობას.

ირაკლი თავართქილაძემ ასევე აღნიშნა, რომ დაინტერესებული პირების მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობითა და ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს წერილის თანახმად, ზემოაღნიშნული მოქალაქეები ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე **2007-2008** წლებიდან დღემდე. ასევე დამატებით წარმოდგენილია ერთ-ერთ პირზე(ნუგზარ ცინცაძე) ინფორმაცია, რომ დროებით გადასულია სხვა ფართში ბინის საცხოვრებლად ვარგის მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, აღნიშნული პირი არის ომის ვეტერანი, მრავალშვილიანი და მიზანშეწონილია აღნიშნულის გათვალისწინებით მოხდეს ფართის მისთვის დაკანონება.

დასასრულს, **ირაკლი თავართქილაძემ** აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, ქონების გადაცემით დაინტერესებულ პირებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე **რეგისტრირებული არ არის.**

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია, განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნეს ტექნიკური თვალსაზრისით. ამასთან, სასურველია **შეიცვალოს** წარმოდგენილი განკარგულების პროექტის **პირველი და მეორე პუნქტები** და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

თავმჯდომარის განმარტებით, განკარგულების პროექტის დანართი 1-ში, **მოქალაქე ტატიანა ივანოვას** პირადი ნომერი უნდა მიეთითოს სწორი ფორმით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული** შენიშვნების **გათვალისწინებით** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

19. ირაკლი თავართქილაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ **თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩა N2-20-ის მიმდებარედ** არსებული **16 კვ.მ** მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.114.11.031.086) **პირდაპირი** განკარგვის **წესით** მარინე ჯიშკარიანისთვის (პ/ნ: 01009020593) **იჯარის ფორმით** სარგებლობის **უფლებით გადაცემის** თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების **პროექტი** ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ი. აბაშიძის ქუჩა № 2-20-ის მიმდებარედ **არსებული 16 კვ. მ.** მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით, მარინე ჯიშკარიანისთვის, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემას, **ღია კაფეს მოწყობის მიზნით,** შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება **5 (ხუთი) წლით.**
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიურ საფასურად განისაზღვრება - **2350 (ოთხი ათას სამასორმოცდაათი) ლარი.**

ირაკლი თავართქილაძის თქმით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის პოზიციის თანახმად, დაინტერესებული პირის საპროექტო დოკუმენტაციით წარმოდგენილი ინვენტარის განთავსება არ ექცევა საქართველოს მთავრობის №57 დადგენილების რეგულაციებში.

დასასრულს, ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ **საჯარო** რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული პირის თანასაკუთრებაშია ქალაქ თბილისში, ი. აბაშიძის ქუჩა № 16-ში მდებარე უძრავი ქონება.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - **ლევან ჟორჟოლიანის** თქმით, სასურველია, განკარგულების **პროექტის** სათაური გამართულ იქნას **ტექნიკური** თვალსაზრისით, ასევე, განკარგულების **პროექტის** სამართლებრივი საფუძვლები, განკარგულების **პროექტის** პირველი და მესამე **პუნქტები** გასწორდეს, შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული** შენიშვნების **გათვალისწინებით** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

20. ირაკლი თავართქილაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, **,,ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქ. N15ა-ში მდებარე 5,001 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.04.030.048) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, შპს **,,ნინას"** და შპს **,,სუბიექტის"** დირექტორებმა 2019 წლის 5 ივლისს ერთობლივი განცხადებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასგან ითხოვეს სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ ჩატარებულ აუქციონზე შეძენილი, კომპანიების საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მონაცვლეობა, იმ მოტივით, რომ ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილის მიმდებარედ არსებული **1010 კვ.მ** მიწის ნაკვეთი (ს/კ: N01.10.16.004.222 - შპს ,,ნინა") და **1500 კვ.მ** მიწის ნაკვეთი (ს/კ: N01.10.16.004.223 - შპს ,,სუბიექი") გახლავთ დატბორვის ზონაში და არის რისკის შემცველი.

საკითხის წარმომდგენის თქმით, აღნიშნულმა კომპანიებმა განცხადებაში განმარტეს, რომ ნაკვეთები შეძენილია სამშენებლოდ განვითარებისათვის და მიუხედავად იმისა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის შესაბამის ბრძანებებით, აღნიშნულ საკადასტრო ერთეულებზე დამტკიცდა მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ გამოყენების პირობები (გაპ-ი), 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიური მოვლენის შედეგად მდინარე ვერეს ხეობის მიმართ გამოვლინდა საშიშროებები და მოსალოდნელი რისკები.

ირაკლი თავართქილაძის თქმით, კომპანიებმა გაიზიარეს მერიის პოზიცია მდ. ვერეს ხეობაში მშენებლობების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით და უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში მყოფი ნაკვეთების სანაცვლოდ მოითხოვეს ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე 3000 კვ.მ მიწის ნაკვეთი და სანაპიროს ქ.N2-ში მდებარე 818 კვ.მ მიწის ნაკვეთის გადაცემა.

საკითხის წარმომდგენმა განმარტა, რომ ვინაიდან განიხილება მოთხოვნილი ტერიტორიის სხვაგვარად განვითარება, შესაბამისად, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული კომპანიებს, თანასაკუთრებაში გადაეცეთ ქ. თბილისში, **უნივერსიტეტის ქ. N15ა-ში მდებარე 5,001 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რომელიც წარმოქმნილია 01.14.04.030.042 საკადასტრო ერთეულის და მის მიმდებარედ არსებული 2,001 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გაერთიანების შედეგად.**

ბატონმა ირაკლიმ იქვე დასძინა, რომ ურბანული განვითარების სამსახურმა შესაძლებლად მიიჩნია მიწის ნაკვეთის განკარგვა და მისი შემდგომში სამშენებლო განვითარება მოქმედი ფუნქციური ზონის შესაბამისად.

ამასთან, როგორც **ირაკლი თავართქილაძემ** აღნიშნა, მიწის ნაკვეთები შეფასდა სსიპ- ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ:

- ✓ ექსპერტიზის დასკვნით, **5,001 კვ.მ. მიწის ნაკვეთი საბაზრო ღირებულება,** 2020 წლის 6 მარტის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა **1,885,377 ლარის ოდენობით.**
- ✓ ექსპერტიზის დასკვნით, **სარეკრეაციო ზონა 2-ში მდებარე 1010 კვ.მ** მიწის ნაკვეთი შეფასდა არქიტექტურის სამსახურის ზონალური საბჭოს გადაწყვეტილების გათვალისწინებით, რომლის მიხედვით, გაცემულია თანხმობა სასტუმროს განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური შეთანხმების გაცემაზე. **მისი საბაზრო ღირებულება 2020 წლის 6 მარტის მდგომარეობით განისაზღვრა 624,180 ლარის ოდენობით.**

- ✓ სარეკრეაციო ზონა 1-ში **(რზ-1) მდებარე 1500 კვ.მ** მიწის ნაკვეთი შეფასდა არქიტექტურის სამსახურის ზონალური საბჭოს გადაწყვეტილების გათვალისწინებით, რომლის მიხედვით, მიცემულია თანხმობა გასართობი ცენტრის (საბილიარდო და სათამაშო აპარატების დარბაზი) განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური შეთანხმების გაცემაზე. მიწის ნაკვეთის **საბაზრო ღირებულება, 2020 წლის 6 მარტის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 910,500 ლარის ოდენობით.**

დასასრულს, ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ განკარგულების **პროექტით** განიხილება მიწის ნაკვეთების მონაცვლეობა და **საპრივატიზებო** საფასური განისაზღვრება წარმოდგენილი საექსპერტო შეფასებებით დადგენილ თანხებს შორის სხვაობის არანაკლები ოდენობით **351,000 (სამას ორმოცდათერთმეტი ათასი) ლარით.**

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მუნიციპალიტეტისთვის მეტად მნიშვნელოვანია, რომ დატბორვის ზონაში არ განხორციელდეს მშენებლობები. ამასთან, კერძო საკუთრების უფლება ხელისშემშლელ ფაქტორად შეიძლება იქცეს სტიქიური რისკის არეალში მოქცეულ ტერიტორიებზე შემდგომში საჭირო გადაწყვეტილებების მიღებისას.

თავმჯდომარის თქმით, განკარგულების პროექტის პირველ მუხლში ასევე უნდა მიეთითოს საპრივატიზებო საფასურის ოდენობა და ინფორმაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოსაცემი ქონების შესახებ. ასევე, **განკარგულების პროექტის მე-2 მუხლი ტექნიკურად გაიმართოს** და ჩამოყალიბდეს შესაბამის რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

21. ირაკლი თავართქილაძემ, დღის წესრიგით გათვალისწინებულ 21-ე საკითხთან მოიმართებაში აღნიშნა, რომ წარმოდგენილი **პროექტით ხორციელდება,** შპს „ახალი ვარსკვლავი 2015"-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, გიორგი ჩიტაიას ქუჩა N21/ანაკლიის N1-ში მდებარე **153 კვ.მ** უძრავი ქონების (ს/კ 01.16.06.005.001.01.515) მონაცლეობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა, N1ბ/გიგო ზაზიაშვილის ქუჩა, N2-ში მდებარე **112.52 კვ.მ** უძრავი ქონებაში (ს/კ 01.16.02.040.002.01.507).

ბატონი ირაკლის თქმით, მონაცვლეობის შემთხვევაში, კომპანია მზად არის **153 კვ.მ ტერიტორიაზე** განახორციელოს ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოსა და შპს „აქსონს" შორის 2019 წლის 30 მაისს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები და სტანდარტების შესაბამისი სარემონტო სამუშაოები. ამასთან, თუ დაინტერესებული პირის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება აღემატება სანაცვლოდ გადმოსაცემი უძრავი ქონების ღირებულებას, ამ სხვაობასთან დაკავშირებით არ ექნება არანაირი პრეტენზია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ.

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ საკითხთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - **ქონების მართვის სააგენტოს წერილით წარედგინა** ა(ა)იპ ქალაქ

თბილისის მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს წერილობითი თანხმობა, **ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა, N1ბ/გიგო ზაზიაშვილის ქუჩა, N2-ში არსებულ 112.52 კვ.მ უძრავ ქონებაში განთავსებული ჩუღურეთის რაიონული სერვის ცენტრისათვის ალტერნატიულლი ფართის გადაცემის შესახებ.**

დასასრულს, სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა კომისიის წევრებს გააცნო, **სსიპ ლევან** სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკნები, რომლის მიხედვით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული **112.52 კვ.მ** უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება 2020 წლის 9 მარტის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა **312,243 (სამასთორმეტი ათას ორასორმოცდასამი) ლარით,** ხოლო შპს „ახალი ვარსკვლავი 2015" საკუთრებაში არსებული **153** კვ.მ უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება 2020 წლის 9 მარტის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა **382,041 (სამასოთხმოცდაორი ათას ორმოცდაერთი)** ლარით.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია **განკარგულების პროექტის მე-2 მუხლი ტექნიკურად გაიმართოს** და ჩამოყალიბდეს შესაბამის რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული** შენიშვნის **გათვალისწინებით** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

22. - ამოღებულია.

მოისმინეს:

23. ირაკლი თავართქილაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, **"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „გოლდვინს" (ს/კ 405308135) შორის 2019 წლის 21 იანვარს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის N9-441-36-23013" ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, სსიპ-ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „გოლდვინს" შორის, 2019 წლის 21 იანვარს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის - **„მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს ჩარჩო გეგმის ფარგლებში"** გაუქმებას.

ბატონი ირაკლის განმარტებით, შპს „გოლდვინ"-მა განცხადებით ითხოვა N81.02.21.633 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებული ზემოაღნიშნული შეზღუდვის გაუქმება. ირაკლი თავართქილაძის თქმით, მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის პოზიციის მიხედვით, აღნიშნული საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთზე **არ ვრცელდება სარეკრეაციო/სასოფლო ზონები, სამშენებლოდ განვითარება დასაშვებია მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ფუნქციური ზონის და ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების შესაბამისად.**

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, აღნიშნულ საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 1023 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება/საწყისი საპრივატიზებო საფასური ზემოაღნიშნული შეზღუდვის გათვალისწინებით 2018 წლის 16 ნოემბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენდა 82 300 (ოთხმოცდაორი ათას სამასი) ლარს. ამასთან, ექპერტიზის დასკვნის მიხედვით, ზემოაღნიშნული შეზღუდვის არ არსებობის პირობებშიც აღნიშნული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება/საწყისი საპრივატიზებო საფასური არ შეიცვლება.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N19-72 დადგენილებით დამტკიცებული წესის **24-ე მუხლის მე-9 პუნქტი.** ასევე მიზანშეწონილია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მეორე პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული** შენიშვნების **გათვალისწინებით** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

24. ირაკლი თავართქილაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, "**ქალაქ თბილისში, დასახლება ვარკეთილი, მასივი III, კვარტალი I, კორპუსი 6-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.029.002.01.513) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე**" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, დასახლება ვარკეთილი, მასივი III, კვარტალი I, კორპუსი N6-ში მდებარე **32,99 კვ.მ** უძრავი ქონების, მოქალაქე **ლოლა მჭედლიძისთვის** პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემას.**

ბატონი ირაკლის თქმით, ქონების გადაცემით დაინტერესებული პირი გახლავთ სოციალურად დაუცველის სტატუსის. მისივე თქმით, მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობის მიხედვით, ლოლა მჭედლიძე **1998 წლიდან** დღემდე ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე. ამასთან, ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის პირველი განყოფილების წერილის მიხედვით, აღნიშნული მოქალაქე **10 წელზე მეტია** ნამდვილად ცხოვრობს დაინტერესებაში არსებულ ფართში.

ირაკლი თავართქილაძის თქმით, საკითხთან დაკავშირებით სააგენტოში წარდგენილია კომუნალური გადასახადის ქვითრები რომლებშიც აბონენტად რეგისტრირებულია **ლოლა მჭედლიძე.**

დასასრულს, **ირაკლი თავართქილაძემ** აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, ლოლა მჭედლიძესა და მის ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია, განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნეს ტექნიკური თვალსაზრისით. ამასთან, სასურველია **შეიცვალოს** წარმოდგენილი განკარგულების პროექტის **პირველი და მეორე პუნქტები** და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული** შენიშვნების **გათვალისწინებით** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

25. ირაკლი თავართქილაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, **"ქალაქ თბილისში, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი 33-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.012.012.01.027) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ვაკის რაიონის გამგეობის შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრორაიონი, კორპუსი 33-ში, მე-4 სართულზე მდებარე **90.64 კვ. მ.** ფართობის ბინა, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ)** ლარად, პრივატიზებით გადაეცემა - **მოქალაქე როინი ბახტურიძეს, რომელიც** აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს **2000 წლიდან,** რაც დასტურდება ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მე-3 განყოფილების წერილითა და შესაბამისი მოქალაქის სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებით.

დასასრულს, **ირაკლი თავართქილაძემ** აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, როინი ბახტურიძის სახელზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია, განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით. ამასთან, სასურველია **შეიცვალოს** წარმოდგენილი განკარგულების პროექტის **პირველი და მეორე პუნქტები** და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული** შენიშვნების **გათვალისწინებით** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

26. ირაკლი თავართქილაძემ, დღის წესრიგით გათვალისწინებულ **26-ე** საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესაბამისად, ქ.თბილისში, პარკი „მზიურის" ტერიტორიაზე არსებული **461 კვ.მ** მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობა, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცემა, ა(ა) იპ **„მზიანს".**

საკითხის წარმომდგენმა განაცხადა, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა **ა(ა) იპ „მზიანს" ერთხელ უკვე გადაეცა** პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, **2 წლის** ვადით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით **2018 წელს,** ე.წ. **„სოციალური კაფეს"** ფუნქციონირების მიზნით.

დასასრულს, **ირაკლი თავართქილაძემ** აღნიშნა, რომ სსიპ ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილია აუდიტორული კომპანია შპს „ქაუნთინგ-ჰაუსის" აუდიტორული დასკვნა, რომლის მიხედვითაც დასტურდება ააიპ „მზიანის" მხრიდან უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების პირნათლად შესრულება.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია განკარგულების პროექტის სამართლებრივი საფუძვლებიდან ამოღებულ იქნეს მითითება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 122[1] **მუხლის მე-9 პუნქტზე.** ასევე, ამოღებულ იქნეს მითითება საკრებულოს **N19-78** დადგენილებით დამტკიცებული წესის **მე-2 მუხლის მე-13 პუნქტზე.**

კომისიის თავმჯდომარის თქმით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" **122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი.** ამასთან, მიზანშეწონილია შეიცვალოს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის **სათაური, პირველი და მეორე პუნქტები** და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

27. ირაკლი თავართქილაძემ, დღის წესრიგით გათვალისწინებულ 27-ე საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ ჩუღურეთის რაიონის გამგეობის შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, ხუდადოვის ქუჩა N173–ში, კორპუს N5–ში მდებარე ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართები, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად – 1** (ერთი) **ლარად** გადაეცემათ მოქალაქეებს: **ქეთევანი ჟღენტი - 38.50 კვ.მ. ფართი; მარინე ალექსიძე 38.50 კვ.მ. ფართი; ინა ივჩენკო 59.55 კვ.მ ფართი; ხათუნა დევდარიანი 73.47 კვ.მ. ფართი.**

საკითხის წარმომდგენის თქმით აღნიშნული მოქალაქეები **1993-2001** წლებიდან დღემდე ცხოვრობენ დაინტერესებაში არსებულ ფართებში და აქვთ თავდაცვის მინისტროს მიერ გაცემული ბინის ორდერები და მიღება–ჩაბარების აქტები. მისივე თქმით, უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებულ პირთა ცხოვრების ფაქტი დასტურდება, როგორც შინაგან

საქმეთა სამინისტროს შესაბამისი რაიონული გამყოფილების მიერ შედგენილი ოქმებით, ასევე, მეზობლების მიერ, სანოტარო წესით დამტკიცებული ხელწერილებითა და ჩუღურეთის რაიონის გამგეობის წარმომადგენლის მიერ შედგენილი ოქმებით.

ბატონმა ირაკლიმ კომისიის წევრებს განუმარტა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სააგენტოში წარდგენილია სანოტარო წესით დამოწმებული დოკუმენტები, სადაც საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში მიღების სანაცვლოდ ზემოაღნიშნული პირები თმობენ მოთხოვნის უფლებას თავდაცვის სამინისტროს მიმართ. ამასთან, წარდგენილ მასალებს შორისაა ზემომითითებული მოქალაქეების მიერ, ოჯახებთან ერთად დაკავებული საცხოვრებელი ფართების ამსახველი ფოტომასალა.

დასასრულს, **ირაკლი თავართქილაძემ** აღნიშნა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის შესაბამისი წერილის თანახმად, ზემომითითებულ მოქალაქეებს და მათ ოჯახის წევრებს საკუთრებაში გადაცემული არ აქვთ/არ ჰქონიათ თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული სხვა უძრავი ქონება, ასევე ისინი არ სარგებლობენ თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული სხვა ფართით.

აზრი გამოთქვა:

კომისიის **თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის** თქმით, სასურველია, განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნეს ტექნიკური თვალსაზრისით. ამასთან, სასურველია **შეიცვალოს** წარმოდგენილი განკარგულების პროექტის **პირველი და მეორე პუნქტები** და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული** **შენიშვნების** **გათვალისწინებით** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

28. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა - **ირაკლი გვილავამ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების - ხელოვნების სკოლებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ქ.თბილისის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლის" (ს/ნ: 204526352) სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეების რაოდენობის შესაბამისად (წარმატებული მოსწავლეებისა და მათი მასწავლებლების წახალისების მიზნით) დაფინანსების პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 იანვრის N1-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ხელოვნების სკოლებისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში დასაქმებული ადამიანები მარტისა და აპრილის შრომით ანაზღაურებას სრულად მიიღებენ. მისივე თქმით, აღნიშნული გადაწყვეტილების მიზეზია ახალი კორონავირუსის გამო ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა, რის შედეგადაც, ხელოვნების

სკოლები და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი მოკლებულნი არიან შესაძლებლობას უზრუნველყონ მოსწავლეთა სწავლება, რაც თავის მხრივ ზღუდავს მათ გასცენ ზემოაღნიშნული წესის ფარგლებში დასაქმებული პირების შრომის ანაზღაურება.

მომხსენებლის თქმით, წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N1-1 დადგენილებით დამტკიცებულ წესს ემატება მე-5 მუხლი, რომლის მიხედვითაც **წესით გათვალისწინებული დაფინანსება შესაძლებელია გაიცეს ავანსის სახით 2020 წლის მარტისა და აპრილის თვეში**, ხელოვნების სკოლებისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მიერ მოსწავლეთა მიმართ შესასრულებელი ვალდებულებების შემდგომ თვეებში ანაზღაურების პირობით.

დასასრულს, **ირაკლი გვილავამ** აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტით ასევე ხორციელდება ტექნიკური ხასიათის ცვლილება წესის მე-3 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებში.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრმა, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ - **გიორგი ჩაკვეტაძემ** დადებითად შეაფასა **წარმოდგენილი** საკითხი.

ლევან ჟორჟოლიანმა, მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ საკრებულოს N1-1 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლში დაზუსტდეს ავანსის გაცემის წესი და მიეთითოს, რომ თვიური დაფინანსების გაცემა მოხდება 2020 წლის თებერვლის თვეში გაცემული დაფინანსების ოდენობით.

საკითხის წარმომდგენი დაეთანხმა კომისიის თავმჯდომარის მიერ მითითებულ წინადადებას.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და **მითითებული** შენიშვნის **გათვალისწინებით** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

29. სსიპ ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ - **ვიქტორ წილოსანმა,** სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, **„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ბატონი ვიქტორის განმარტებით, ქვეყანაში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის მიზნით, უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს 17 მარტის შესაბამისი გადაწყვეტილებისა და დედაქალაქისმთავრობის №20.331.434 განკარგულების საფუძველზე, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M_2 კატეგორიის**

ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელებაზე ნებართვების მფლობელებს დაევალათ მგზავრთა გადაყვანის დროებით შეჩერება 2020 წლის 18 მარტიდან, აღნიშნული განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადებამდე.

ვიქტორ წილოსანის თქმით, დაავადების კონტროლისა და გავრცელების აღკვეთის მიზნით, 2020 წლის 21 მარტს, საქართველოს პრეზიდენტმა, საქართველოს მთელს ტერიტორიაზე გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა, რომლის ვადად განისაზღვრა 1(ერთი) თვე. ამასთან, ბატონი ვიქტორის განმარტებით, საგანგებო მდგომარეობის ვადით შეჩერდა თვითმმართველი ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრის საზღვრებში M2 (სამარშუტო ტაქსები) კატეგორიის ავტობუსებით მგზავრთა გადაყვანა.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შესაბამისი ცვლილებები შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებით დამტკიცებულ წესში, კერძოდ, წესის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტს, „ა" ქვეპუნქტის შემდეგ, ემატება „ა1" ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც, ნებართვის მფლობელს უფლება აქვს საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლის შესაბამისად გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობისას, მის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ნებართვის გამცემის წერილობითი თანხმობით, განსაზღვროს ავტობუსების დისლოკაციის ადგილები და მათი მარშრუტები.

საკითხის წარმომდგენის თქმით, ცვლილება ხორციელდება წესის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „კ" ქვეპუნქტში, რომელიც ითვალისწინებს ნებართვის მფლობელის ვალდებულებას უზრუნველყოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებით დამტკიცებული ლოტისათვის განსაზღვრული ყოველდღიურად მომუშავე ავტობუსების მაქსიმალური რაოდენობის არასამუშაო დროს საავტობუსო პარკში დგომა. აღნიშნულ პუნქტში ხდება საგამონაკლისო მითითება და მისი მოქმედება არ გავრცელდება მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „ა1" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის დროს.

ბატონი ვიქტორის განმარტებით, ასევე, ცვლილება ხოციელდება წესის მე-18 მუხლში და ემატება „ი" ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც ნებართვის გამცემი საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლის შესაბამისად გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის ვადით უფლებამოსილია/ვალდებულია შეაჩეროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელება.

დასასრულს, ვიქტორ წილოსანმა განმარტა, რომ ცვლილებები გავრცელდება საქართველოს პარლამენტის №5864-სს დადგენილების ამოქმედების დღიდან.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

30. ვიქტორ წილოსანმა, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, **„საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ცვლილება შედის, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში და დადგენილების მე-3 მუხლით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლს ემატება მე-4 პუნქტი, რომლის თანახმადაც საგანგებო მდგომარეობის პერიოდით ჩერდება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტითა და მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული სანებართვო პირობების შესრულების ვალდებულება.

ვიქტორ წილოსანმა განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილების განხორციელება განაპირობა ქვეყანაში შექმნილმა ვითარებამ, რომელიც უკავშირდება ახალი კორონავირუსის გავრცელებას.

დასარულს ვიქტორ წილოსანმა აღნიშნა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ გააჩნია.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

31. ვიქტორ წილოსანმა, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ **წარმოდგენილი, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2017 წლის 2 მარტს საქართველოს მთავრობამ №112 დადგენილებით ცვლილება შეიტანა „ეკონომიკის რეგულირებადი სფეროების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 დეკემბრის №667 დადგენილებაში და შესაბამისი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ, 3 წლის ვადით, 2017 წლის პირველი აპრილიდან 2020 წლის პირველ აპრილამდე,

განისაზღვრა ავტობუსებით (M_2 კატეგორია) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა.

მომხსენებლის თქმით, ზემოაღნიშნულისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M_2 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვების მფლობელების 2017 წლის 15 თებერვლის შესაბამისი წერილების გათვალისწინებით, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-32 დადგენილებით** შესაბამისი ცვლილება შეივიდა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში და მას დაემატა 1^1 პუნქტი, რომლის მიხედვით, ამ დადგენილების პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული **ნებართვის გაცემის ფასი 2017 წლის პირველი მაისიდან 2020 წლის პირველ აპრილამდე განისაზღვრა 15 (თხუთმეტი) ლარის ოდენობით.**

ვიქტორ წილოსანის განმარტებით, 2020 წლის 27 მარტს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული ნებართვების მფლობელების წერილების საფუძველზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M_2 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (ლოტების მომსახურებაზე) ნებართვების მფლობელების წინაშე არსებული პრობლემების დაძლევის მიზნით, შეიმუშავა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „ეკონომიკის რეგულირებადი სფეროების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 დეკემბრის №667 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 2 მარტის №112 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ", რომელიც ითვალისწინებს **დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ ავტობუსებით (M_2 კატეგორია) ადგილობრივ საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის გახანგრძლივებას 2 წლის ვადით - 2022 წლის პირველ აპრილამდე,** რომლის საფუძველზეც საქართველოს მთავრობამ 2020 წლის 31 მარტს მიიღო №208 დადგენილება და ავტობუსებით (M_2 კატეგორია) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა შესაბამისი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განისაზღვრა 2022 წლის პირველ აპრილამდე.

ამასთან მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2020 წლის 30 და 31 მარტს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას წერილობით მიმართეს ნებართვების მფლობელებმა და ითხოვეს ცვლილების შეტანა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M_2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ნებართვის გაცემის ფასის (თითოეულ ავტობუსზე, ყოველთვიურად) 15 ლარის ოდენობით შენარჩუნება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მომზადდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-32 დადგენილებაში ცვლილება, რომლის მიხედვით დადგენილების 1^1 პუნქტი ყალიბდება ახალი რედაქციით და ამ დადგენილების **პირველი პუნქტის „ა"**

ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნებართვის გაცემის ფასი 2017 წლის პირველი მაისიდან 2022 წლის პირველ აპრილამდე განისაზღვრება 15 (თხუთმეტი) ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვა:

თავმჯდომარის თქმით, მიზანშეწონილია, რომ დადგენილების პროექტის სამართლებრივი საფუძვლებიდან ამოღებულ იქნას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

32. **ვიქტორ** წილოსანმა, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ **წარმოდგენილი, „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „რ" ქვეპუნქტით განმარტებულია: „ეკონომიკის რეგულირებადი სფერო – „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ", „საინვესტიციო ფონდების შესახებ", „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ", „მაუწყებლობის შესახებ" და „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" საქართველოს კანონებით დადგენილი სფეროები, აგრეთვე მუნიციპალური მომსახურების სფეროები, რომლებშიც თავისუფალი ფასწარმოქმნა და კონკურენცია შეზღუდულია და რომლებიც საქართველოს მთავრობის დადგენილებით განისაზღვრება რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებად და ექვემდებარება სატარიფო რეგულირებას".

მომხსენებლის თქმით, 2017 წლის 2 მარტს **საქართველოს მთავრობამ №112 დადგენილებით ცვლილება შეიტანა „ეკონომიკის რეგულირებადი სფეროების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 დეკემბრის №667 დადგენილებაში და შესაბამისი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ, 3 წლის ვადით, 2017 წლის პირველი აპრილიდან 2020 წლის პირველ აპრილამდე, განისაზღვრა ავტობუსებით (M2 კატეგორია) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა.**

ასევე მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამავე დროს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და

ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის მიხედვით ნებართვის მფლობელი ვალდებულია დაიცვას შემდეგი სანებართვო პირობა: მომსახურების გაწევა განახორციელოს დადგენილი ტარიფის (თუ მომსახურების გაწევა ეკონომიკის რეგულირებადი სფერო იქნება) შესაბამისად.

ვიქტორ წილოსანის განმარტებით, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M_2 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (ლოტების მომსახურებაზე) ნებართვების მფლობელების 2017 წლის შესაბამისი წერილებით წარდგენილი მათ მიერ განსაზღვრული იმ პერიოდის მდგომარეობით არსებული მგზავრობის ფასების გათვალისწინებით დამტკიცდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის **№8-31** დადგენილება „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M_2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ“.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის №53-24 დადგენილებით ცვლილება შევიდა „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში და ამოღებულ** იქნა 29 მარშრუტი.

განმარტებითი ბარათის თანახმად, 2020 წლის 27 მარტს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შესული ნებართვების მფლობელების წერილების საფუძველზე **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ,** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M_2 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი **საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (ლოტების მომსახურებაზე) ნებართვების მფლობელების წინაშე არსებული პრობლემების დაძლევის** მიზნით, **შეიმუშავა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი** „ეკონომიკის რეგულირებადი სფეროების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 დეკემბრის №667 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 2 მარტის **№112** დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“, **რომელიც** ითვალისწინებს **დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ ავტობუსებით (M_2 კატეგორია) ადგილობრივ საქალაქო რეგულარული სამგზავრო** გადაყვანის **გახანგრძლივებას 2 წლის ვადით - 2022 წლის პირველ აპრილამდე,** რომლის საფუძველზეც **საქართველოს მთავრობამ 2020 წლის 31 მარტს მიიღო №208 დადგენილება** და **ავტობუსებით (M_2 კატეგორია) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო** გადაყვანა **შესაბამისი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის** რეგულირებად **სფეროდ განისაზღვრა 2022 წლის პირველ აპრილამდე.**

ასევე მომხსენებლის თქმით, 2020 წლის 30 და 31 მარტს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შევიდა ნებართვების მფლობელების წერილები, რომლებშიც აღნიშნულია: „...ვინაიდან კომპანიის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისთვის წერილობით მიმართულია შუამდგომლობა საქართველოს მთავრობის წინაშე, რათა ... საქმიანობა სამგზავრო გადაყვანის კუთხით გაგრძელდეს და განისაზღვროს ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ ..., ამასთან დაკავშირებით წარმოგიდგენთ ინფორმაციას მიკროავტობუსების რაოდენობების და სამგზავრო ტარიფების შესახებ. ამასთანავე გაცნობებთ, რომ ყველა მარშრუტზე, სადაც მგზავრობის ტარიფი შეადგენს 0,8 ლარს მგზავრობის ტარიფი ერთი და

იმავე დღის განმავლობაში მე-2 და ყოველი მომდევნო მგზავრობისას განისაზღვრება - 0,65 ლარის ოდენობით.".

როგორც ვიქტორ წილოსანმა განმარტა, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საჭირო გახდა შესაბამისი ცვლილებების შეტანა „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში და ამ მიზნით შემუშავდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

აზრი გამოთქვა:

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით უმჯობესია დადგენილების პროექტის პირველი მუხლი ჩაიშალოს ქვეპუნქტებად.

კომისიის სხდომაზე საკითხის წარმომდგენმა ითხოვა **პროექტით წარმოდგენილ N8-31 დადგენილების პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:**

„3. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-47 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის (საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტები) შენიშვნის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ახალი დროებითი მარშრუტის განსაზღვრის შემთხვევაში მომსახურების გაწევის ტარიფი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დადგინდეს არაუმეტეს 0,8 ლარის ოდენობით."

მომხსენებლის აღნიშნულ წინადადებას დაეთანხმა კომისია.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის/წინადადების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად

სხდომის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანი

სხდომის მდივანი თათია ბარაქაძე